მესამე ხუთწლედის წლებში საქართველოს სოციალისტური მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და აყვავების დარგში ჩვენს წინაშე უდიდესი ამოცანები დგას. მესამე ხუთწლედის დამლევისათვის ჩაის კულტურის ფართობი აყვანილ უნდა იქნას 55 ათას ჰექტარამდე, ესიგი გადიდებულ იქნას 32 პროცენტით 1937 წლის დონესთან შედარებით, საშუალო მოსავლიანობა გადიდებულ უნდა იქნას 15 პროცენტით. მნიშვნელოვნად გადიდდება ციტრუსოვანი კულტურების, ვენახების, ტუნგოს, გვირანის, კეთილშობილი დაფნის, რამის, არახისის, ბრინჯაოს, ცალკეულ კოლმეურნეობებსა, ბრიგადებსა, ცალკეულ კოლმეურნეებსა და მთელ რაიონებს შორის გაშლილი წინასაყრილობო შეჯიბრება.

საქართველოს ბოლშევიკები, რომლებიც ამხანაგ ბერიას ხელმძღვანელობით ასრულებდნენ პარტიის ყოველ დავალებას, ამჟამადაც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ღირსეულად შეასრულებენ მესამე ხუთწლედის ამოცანებს.

ამხ. 3. სიხარულიძის სიტყვა

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგან. 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივანი

ამხანაგებო! საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების განხილვამ 26 კომისრის, რაიონში მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩაიარა.

კომუნისტები, რომლებიც გამოდიოდნენ დახურულ პარტიულ კრებებზე, ბოლშევიკური საქმიანობით განიხილავდნენ თეზისებს, შემოჰქონდათ წინადადებანი და დამატებანი. პარტიულმა კრებებმა და რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს რაიონის ბოლშევიკთა უსაზღვრო ერთგულება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი, ხალხთა დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინისადმი.

თეზისების განხილვამ ცხადჰყო, რომ მთელი რაიონის კომუნისტებს ნათლად და მკაფიოდ ესმით მესამე ხუთწლედში პარტიისა და ქვეყნის წინაშე მდგომი უდიდესი ამოცანები. ჩერდებოდნენ რა ამ ამოცანებზე, კომუნისტები ლაპარაკობდნენ თითეული პარტიული ორგანიზაციის უდიდეს პასუხისმგებლობაზე მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის. პარტიულ კრებებზე და რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე გამოსვლებში გამოსჭვივოდა უდიდესი სიხარული და სიამაყე სოციალიზმის გამარჯვებების გამო, რომლებიც მოიპოვეს ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით.

ამ გრძნობათა მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს რაიონში ფართოდ გაშლილი წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრება. საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის პატივსაცემად ჩვენი რაიონის მუშები, სპეციალისტები და მოსამსახურენი კისრულობენ ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს, იბრძვიან ამ ვალდებულებათა ბოლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ფეხსაცმლის ახალ ფაბრიკაში კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ერთმანეთთან შეჯიბრებაში ჩაბმულმა პირველმა და მეორე საკერავმა სამჭროებმა. პირველი საამჭრო ყოველდღიურად უმეტებს გეგმის გადამეტებით 360 წყვილ ფეხსაცმელს.

ჩაება რა წინასაყრილობო შეჯიბრებაში, წისქვილკომბინატის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გახსნის დღისათვის დაამთავროს პირველი კვარტალის გეგმის შესრულება, გაადიდოს შრომის ნაყოფიერება 7 პროცენტით. თავის ვალდებულებას წისქვილკომბინატის კოლექტივი წარმატებით ანაღდებს. წისქვილკომბინატია ცალკეულია სტახანოველებმა შრომის ნაყოფიერების მკვეთრ ამაღლებას მიაღწიეს. მექანიკური საამქროს ხარატი ამხ. ხოდკოვი, რომელმაც იკისრა ვალდებულება გამოიმუშაოს დღეში სამი ნორმა — წარმატებით ასრულებს ამ ვალდებულებას. 300-305 პროცენტით ასრულებს თავის დავალებებს პარტიის კახდიდატი, საფქვავი საამქროს მეთუნუქე ამხ. რახუანოვი.

ასეთი ძაგალითების მოყვანა ძალიან ბევრის შეიძლება.

უამბობდნენ რა რაიონულ პარტიულ კონფერენციას იმ უდიდეს პოლიტიკურ აღძაელობაზე, რომელმაც მოიცვა საწარმოები და დაწესებულებები წინასაყრილობო დღეებში, დელეგატებს შემოჰქონდათ მთელი რიგი წინადადებანი და დამატებანი ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების ცალკეული განყოფილებებისათვის.

წისქვილკომბინატის პარტკომის მდივანმა ამხ. ლეონიძემ, აღნიშნა რა საქართველოს მრეწველობის სწრაფი ზრდა, წამოაყენა წინადადება შეტანილ იქნას მესამე ხუთწლედის გეგმაში საქართველოში საზომ ხელსაწყოთა და საჭრელ ინსტრუმენტთა ქარხნის აშენება. კონფერენციამ სავსებით მართებულად სცნო დელეგატის წინადადება ამიერ-კავკასიის ერთერთ რესპუბლიკაში საავიაციო-სარემონტო ქარხნის აგების შესახებ.

მე ვფიქრობ, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობა მხარს დაუჭერს ამ წინადადებებს და ასახავს მათ თავის გადაწყვეტილებებში.

შესანიშნავ დღეებში ცხოვრობს ამჟამად მთელი ჩვენი დიადი სამშობლო. საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის მომზადების დღეები გადაიქცა კომუნისტური პარტიის გარშემო, მისი სამრძოლო შტაბის—საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარშემო, დიდი და საყვარელი სტალინის გარშემო მშრომელთა უფართოესი მასების მონოლიტური დარაზმულობის დიად დემონსტრაციად.

საქართველოს ბოლშევიკები, აღზრდილნი ამხანაგ ბერიას მიერ მუშაობის ლენინურ-სტალინურ ტრადიციებზე, შეიარაღებულნი ძლევამოსილი მარქსისტულ - ლენინური თეორიით, წარმატებით დასძლევენ მესამე ხუთწლედში ყველა იმ ამოცანებს, რომლებიც წამოყენებულია საკ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მიერ. **(ტაში).**

ამხ. ბ. ყურაშვილის სიტყვა

საქ. კ. პ. (ბ) სილნაღის რაიკომის მდივანი

დიდი აღფრთოვანებითა და ენტუზიაზმით შეხვდნენ სილნაღის რაიონის მშრომელები ცნობას პარტიის XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ.

დახურულ პარტიულ კრებებზე დიდი ალმავლობით სწარმოებდა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების განხილვა. პარტიის 492 წევრიდან და კანდიდატიდან, რომლებიც ამ კრებებს დაესწრნენ, გამოვიდა 250 კაცი. მათ შემოიტანეს მთელი რიგი წინადადებები და დამატებები მოხსენებათა თეზისებისათვის.

რაიონში ფართოდ გაიშალა წინასაყრილობო შეჯიბრება, რომელშიც ჩაბმული არიან კოლმეურნეობები, მანქანა-ტრაქტორების სადგურები, ბრიგადები, რგოლები, ცალკეული კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები. ისინი კონკრეტული საქმეებით აღნიშნავენ პარტიის ყრილობისათვის მზადების დღეებს.

ულიანოვკის მანქანა-ტრაქტორების სადგურმა დიდ წარმატებებს მიაღწია ნიადაგის მომზადებაში. კარგად მუშაობენ აგრეთვე ალაზნისა და წნორის მტს-ები.

სილნაღის რაიონი ამაყობს თავისი მოწინავე ადამიანებით — სოფლის მეურნეობის სტახანოველებით. მათ შორის არიან: ა. მოხევე, გ. ბერულაშვილი, ხოშტოვი, ი. გურაშვილი, ს. ოტიაშვილი, ი. გოგილაშვილი, ნინა ჯსენაშვილი, მ. ლაზარიაშვილი, ი. ბერუაშვილი და სხვები.

რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობა შეძლებული გახდა, ამ კოლმეურნეობებში ადამიანები ბოლშევიკურად მუშაობენ.

საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია სოფ. ბოდბის ს. ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობამ. ამ კოლმეურნეობის ყოველ ას ცხვარზე შარშან შეინარჩუნა 99 ბატკანი.

კარგი მაჩვენებლები აქვთ სოფელ ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობას, სოფელ ანაგის კოლმეურნეობა „წითელ ანაგას“, სოფელ ბოდბის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობას, „შრომას“ და სხვ.

ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ და რამის საბჭოთა მეურნეობამ 1938 წელი საწარმოო გეგმების გადაჭარბებით დაამთავრეს.

ჩვენი რაიონის კოლმეურნეობები საბჭოთა მეურნეობები და მტს-ები მზად არიან ბოლშევიკურად ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა, რომელიც უკვე დაიწყო. რაიონში დათესილია 1000 ჰექტარი.

სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლით, ბოლშევიკური სიფხიზლის ამაღლებით, მაკნებლობის შედეგების ლიკვიდაციით, ბოლშევიზმის ღრმად დაუფლებით სილნაღის რაიონის მშრომელნი უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან პარტიისა და მთავრობის გარშემო, საყვარელი ბელადის, დიდი **სტალინის** გარშემო.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით სილნაღის რაიონის პარტიული ორგანიზაციები წარმატებით გადასჭრიან მათ წინაშე დასახულ პოლიტიკურ და სამეურნეო ამოცანებს.

გაუმარჯოს დიდ ბელადსა და მასწავლებელს **ამხანაგ სტალინს! (ტაში).**

საქ. კ. პ. (ბ) XII ყრილობის დელეგატები: პირველ რიგში—გ. ილიკჩიანი, ს. ბაზანდარაშვილი, ს. საყვარელიძე, ე. მოცქულაშვილი; მეორე რიგში: ვ. კუდუხაშვილი, ე. შუყაშვილი, კ. აბალაკი.

საქდესის ფოტოკრონიკა

ამხ. მ. ჩუბინიძის სიტყვა

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგან. ლენინის რაიკომის მდივანი

თბილისის ლენინის რაიონშა ორი სტალინური ხუთწლედის წლებში სახე იცვალა. იქ, სადაც წინათ დაუსახლებელი ადგილები და ხრამები იყო, ახლა დიდი ფაბრიკებისა და ქარხნების ახალი კორპუსები აღიმართა. აშენდა ქარხნები — ავტობუსა, რეზონატო, დაზგათმშენებელი, „ცენტროლიტი“, მაცივარკომბინატი; აღმართულია მუშათა საცხოვრებელი სახლების ვეებერთელა კორპუსები. მესამე ხუთწლედში დამთავრდება ისეთ მსხვილ საწარმოთა მშენებლობა, როგორიცაა სატრიკოტაჟო კომბინატი, შამპანური ღვინოების ქარხანა, მუსიკალური კომბინატი, ჩაისაწონი ფაბრიკა, საჰკერავალო ფაბრიკა, აგრეთვე მთელი რიგი წვრილი საწარმოების მშენებლობა. 25 მილიონი მანეთი ასიგნებულია საქართველოს ერთერთი უმსხვილესი საწარმოს—სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხნის რეკონსტრუქციისათვის.

მაგრამ რაიონს ჯერ კიდევ ესაჭიროება მთელ რიგ მშენებლობათა შესრულება. ამაზე მიგვითითებდნენ რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატები ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თეზისების განხილვისას. ბესამე ხუთწლედში მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს რაიონის კეთილმოწყობა. საჭიროა გეგმაში გათვალისწინებულ იქნას წყალსადები მილების გაყვანა, კანალიზაციის გაყვანა, რკინიგზის ლიანდაგზე გადასასვლელი ხიდის აგება.

ლენინის რაიონში 110 ათასზე მეტი მოსახლეობაა, მაგრამ არსებული საქონელგამტარი ქსელი საკმარისი არ არის. ასე, ქალაქის საერთო სავაჭრო ქსელთან შედარებით იგი 7 პროცენტს შეადგენს. აუცილებელია საქონელბრუნვის გასაადიდებლად აშენდეს მთელი რიგი ახალი მაღაზიები, ხოლო ახალი, მშენებლობის პროცესში მყოფი სახლების პირველი სართულები გათვალისწინებულ იქნას სავაჭრო ქსელის დარაბებისათვის.

XVIII ყრილობისათვის ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების რაიონის კომუნისტებში განსაკუთრებული აქტივობით აღნიშნავდნენ იმ უდიდეს წარმატებებს, რომლებიც მიღწეულია ორდენოსანი საქართველოს მიერ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მისი მებრძოლი ხელმძღვანელის ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით.

პარტიულ კრებებზე უდიდესი აქტივობით მიმდინარეობდა ისტორიული წინასაყრილობო დოკუმენტების განხილვა.

პარტკრებებზე გამოსულ კომუნისტებს შემოჰქონდათ მთელი რიგი საქმიანი წინადადებანი და დამატებანი თეზისებისათვის.

რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ მხურვალედ და ერთსულოვნად მოიწონა ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის და მიღებულ რეზოლუციაში მოუწოდა რაიონის ყველა პარტიულ, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციებს უფრო ფართოდ გაშალონ ფაბრიკებისა და ქარხნების წინასაყრილობო შეჯიბრება და სტახანოვური მოძრაობის შემდგომი გაშლის საფუძველზე მიაღწიონ 1939 წლის პირველი კვარტალის გეგმის წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებას.

ლენინის რაიონის საწარმოები, მოწინავე სტახანოვური ბრიგადები, რომლებიც წინასაყრილობო შეჯიბრებაში ჩაებნენ, გვიჩვენებენ შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშებს. ასე, მაგალითად, სტალინის სახელობის ქარხნის ერთერთი საამქროს სტახანოვური ბრიგადა, რომელშიაც ბრიგადირად არის კომუნისტი ზიბროვი, დღითიდღე 300 - 400 პროცენტით ასრულებს გეგმას. ამავე ბრიგადამ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის აღსანიშნავად ახალი რეკორდი დაამყარა, გეგმა 800 პროცენტით შეასრულა.

ლენინის რაიონის მთელი რიგი ქარხნები და ფაბრიკები ეჯიბრებიან მომძე მოკავშირე რესპუბლიკების საწარმოებს. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხანა ეჯიბრება კიევსა და ტიხორეცკაიას ქარხნებს, თბილისის მაცივარკომბინატი — ბაქოსას, თბილისის საორთქლმავლო დეპო — ქვემო-დნებრის გზის დეპოს და სხვ.

თავის გამოსვლებში პარტიულ კრებებსა და რაიონულ პარტკონფერენციებზე კომუნისტები ამახვილებდნენ ყურადღებას რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერების, მავნებლობის შედეგების გადამწყვეტი ლიკვიდაციისა და მტერთა ნამოლარების შემდგომი აღმოფხვრის საკითხებზე.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, გმირული ბრძოლის შედეგად, სტალინური ხუთწლედების წლებში გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწიეს.

ეგებებიან რა პარტიის XVIII ყრილობას, ორდენოსანი საქართველოს ყველა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ცხადჰყოფენ თავის მჭიდრო დარაზმულობას საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. კომუნიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორის — დიდი სტალინის გარშემო. **(ტაში).**

ფაშისტური ქვეყნების აღვირახსნილობა

იჯალიის საომარი მზადება

პარიზი, 27 თებერვალი (საკდესი). იტალიის საომარი მზადება კვლავ შეშფოთებას იწვევს საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში. ამ წრეებში აღნიშნავენ, რომ იტალიაში ტარდება 1901 წელს დაბადებულ, სათადარიგო ჯარისკაცთა მობილიზაცია და აგრეთვე სპეციალისტთა გაწვევა არმიაში (ამ ღონისძიებათა შედეგად, წინასწარი გამოანგარიშებით, იტალიის არმიის ქადრები 300 ათასი კაცით მოიმატებს). აღნიშნავენ აგრეთვე, რომ მატულობს იტალიის ჯარის რიცხვი ლიბიაში, რომ იტალიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები საინსპექციო გამგზავრებებს ახდენენ და სხვ. ამას ერთვის ისეთი ღონისძიებები, როგორიც არის იტალიის მთავრობის ბრძანება საფრანგეთში მცხოვრებ იტალიელ ქვეშევრდომთა იტალიაში დაბრუნების შესახებ. ამავე დროს იტალიის პრესა გაცხოველებულ კამპანიას ეწევა საფრანგეთის წინააღმდეგ ომის მორალური მზადების დარგში. ამას წინათ იტალიიდან გადაასახლეს ზოგიერთი უცხოელი ჟურნალისტი, რომელთაც კავშირი ჰქონდათ იტალიურ გავლენიან წრეებთან (ეს უკანასკნელი ღონისძიება, როგორც სჩანს მიზნად ისახავს იმას, რომ განთავისუფლდნენ „ზედმეტი თვალისაგან“).

დღეს პარიზის გაზეთებს შეხვედა საგულისხმო ფაქტი მოჰყავთ: იტალიელთა ერთი ჯგუფი, თანახმად იტალიის მთავრობის ბრძანებისა, მარსელიდან იტალიას გაემგზავრა. მაგრამ რამდენიმე ათასი იტალიელი მოქალაქე ამ ბრძანებას იტალიის ფაშიზმის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაციით გამოეხმაურა. ისინი შეიკრიბნენ მარსელის კინოთეატრ „ალკაზარის“ სადგომში და მიიღეს შემდეგი რეზოლუცია: „მარსელში მცხოვრები იტალიელები ძმურ სოლიდარობას უცხადებენ ესპანელ ხალხს, რომელიც განაგრძობს გმირულ ბრძოლას თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად. შეკრებილთ საყოველთაო მშვიდობიანობისათვის უდიდეს საფრთხედ მიაჩნიათ ინტერვენტების არმიის ესპანეთში ყოფნა და მოითხოვენ ამ არმიის გაწვევას. მარსელის რაიონის იტალიელები თვით იტალიელი ხალხის ინტერესების გულისათვის პროტესტს აცხადებენ ფაშისტების უსამართლო პრეტენზიების წინააღმდეგ ტუნისის, კორსიკის, ჯიბუტის და სხვ. მიმართ და საქვეყნოდ აღიარებენ ფრანგი და იტალიელი ხალხის ერგობრობას, ჰფიქრობენ რა, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ მათი გაერთიანებული ბრძოლა ძირითადი პირობაა მშვიდობიანობისა და თავისუფლების სასარგებლოდ მოძრაობის წარმატებისა“.

გერმანიისა და იტალიის საჰაერო ძალთა ხელმძღვანელების მომავალი თათბირი

პრაღა, 27 თებერვალი (საკდესი). როგორც ავტორიტეტული წყაროებიდან იუწყებიან, გერინგთან ერთად, რომელიც ამ დღეებში ვითომდა „სამკურნალოდ“ მიემგზავრება იტალიას, გერმანიის საჰაერო ფლოტის უმაღლესი ოფიცრების ჯგუფიც მიემგზავრება.

ჰფიქრობენ, რომ რომში გაიმართება მოლაპარაკება გერმანიისა და იტალიის საჰაერო ძალთა მოქმედების კოორდინაციის შესახებ, თუ შეიარაღებული კონფლიქტი მოხდა საფრანგეთთან. გერინგისა და იტალიის შეიარაღებულ ძალების სარდლობის თათბირზე განხილულ იქნება აგრეთვე მოხსენება ესპანეთის აეროდრომთა განლაგებისა და იმის შესახებ, თუ რამდენად გამოსადეგი იქნება ეს აეროდრომები.

შვეიცარიის ხელისუფლებამ დახურა ესპანეთის წარმომადგენლობა ერთა ლიგასთან

ლონდონი, 27 თებერვალი (საკდესი). შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 24 თებერვალს გასცა განკარგულება, რომ დახურულ იქნას ესპანეთის რესპუბლიკის წარმომადგენლობა, რომელიც ერთა ლიგასთან არსებობს. ესპანეთის დელეგაცია პარიზს გაემგზავრა. წარმომადგენლობა მთავრობამ ესპანეთის საკონსულოს შენობაში, ამ დღეებში კი, როგორც ცნობილია, შვეიცარიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ მან იცნო გენერალი ფრანკო. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ერთა ლიგის წევრი—სახელმწიფოს წარმომადგენლობა იხურება შვეიცარიის ხელისუფლების განკარგულებით.

საფრანგეთის ხელისუფლებამ განკარგულება გასცა რესპუბლიკურ ესპანეთიდან გადმოხვეწილთ ჩამოერთვას პირუტყვი. **სურათზე:** საფრანგეთის საზღვარზე საბაჟოს წარმომადგენელი ართმევს ჯორებს ესპანეთიდან გადმოხვეწილებს.

საქდესის ფოტოქრონიკა

ფაშისტური გერმანიის მზადება კოლონიების დასაპყრობად

პარიზი, 27 თებერვალი (საკდესი). საფრანგეთის მუშათა პრესა აღნიშნავს, რომ გერმანიაში აქტიურად ემზადებიან სპეციალურ არმიას სამხედრო ოპერაციებისათვის აფრიკაში.

ერთი თვის შემდეგ,—აცხადებს პრესა,—გერმანიაში ჩატარდება ნამდვილი საყოველთაო მობილიზაცია. ინტენსიური და ყოველმხრივი მზადება ტროპიკულ ქვეყნებში სამხედრო ოპერაციებისათვის ტარდება როგორც გერმანიის რეგულარული არმიის ერთეულებში, ისე მოიერიშეთა რაზმებშიც.

გერმანიის მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები უკვე გაიგზავნა იტალიის აფრიკულ სამფლობელოებში. ამჟამად გერმანიის დიდძალი საომარი საჭურველი იგზავნება გენუას (იტალია), საიდანაც შემდეგ ლიბიაში იგზავნება. გერმანიაში საჩქაროდ მზადდება კოლონიური ტიპის სამხედრო ფორმის ტანსაცმელი და საომარი საბურველი. გერმანიის ავიაციისათვის საჩქაროდ მზადდება კენიისა და ტანგანაიკის-ინგლისის აფრიკული კოლონიების დაწვრილებითი სამხედრო რუკები.

ცნობა ბერარის მიერ ბურგოსში წარმოებული მოლაპარაკების შედეგების შესახებ

პარიზი, 28 თებერვალი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა კომუნიკე ბერარის მიერ ბურგოსში წარმოებული მოლაპარაკების შესახებ.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ საფრანგეთის მთავრობა „მზად არის გააადვილოს ესპანეთის ჭონების გადაცემა ფრანკოს მთავრობისათვის“ და რომ „ორივე მთავრობამ გამოსთქვა საერთო მისწრაფება დაამყაროს მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა“.

მოლაპარაკების შედეგების შესახებ გადმოცემულ ცნობაში, რომელიც ფრანკოს მთავრობამ გამოაქვეყნა ბურგოსში, ნათქვამია, რომ საფრანგეთმა ვალდებულება იკისრა მისცეს ბურგოსის მთავრობას ესპანეთის ოქროს მარაგი, რაც საფრანგეთში ინახება, სამხედრო საჭურველი, რომელიც გატანილია საფრანგეთში კატალონიიდან რესპუბლიკელთა უკანდახევის დროს, ესპანეთის გემები, ესპანური ხელოვნების საგნები და სხვა ფასეულობანი.

ბურგოსის კომუნიკეში ნათქვამია აგრეთვე, რომ ორივე მხარემ „ვალდებულება იკისრა არ დაუშვას თავის ტერიტორიაზე ისეთი საქმიანობა, რაც მიმართული იქნება მეზობელი სახელმწიფოს მშვიდობიანობის წინააღმდეგ“.

ინგლისის მთავრობამ იცნო გენერალი ფრანკო

ლონდონი, 27 თებერვალი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობის თანახმად, პრემიერ მინისტრმა ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობამ იცნო გენერალი ფრანკო.

ამინდი

ამინდის ბიუროს უკანასკნელი ცნობების მიხედვით, 28 თებერვალს დილისთვის აღმოსავლეთ საქართველოს ზოგ რაიონში განახლდა თოვა. თოვდა უმთავრესად კახეთში, დუშეთის რაიონში და სხვ. გორისა და ბაშურის რაიონში ცვალებადი მოღრუბლულობა და სიმშრალე იყო. ჰაერის ტემპერატურა უდრიდა დღისით ყაზბეგში 6 გრადუს სიცივეს, ყარაიაში 2 გრადუს სითბოს, ლამით ყაზბეგში 20 გრადუსი ყინვა იყო, ახალქალაქში 15 გრადუსი, ყარაიაში 5 გრადუსი და წნორში — 6 გრადუსი.

დასავლეთ საქართველოში 28 თებერვლისათვის ყველგან მოწმენდილი და მშრალი ამინდი იქნა. დილით მზე იყო. ჰაერის ტემპერატურამ ღამით მთიან ადგილებში (მესტია, ონი, წიფა) 15 გრადუს სიცივემდე მიაღწია, ხოლო დანარჩენ ადგილებში ყინვა არ ყოფილა. შავი ზღვის სანაპიროებზე ჰაერის ტემპერატურა 9 გრადუს სითბომდე აღწევდა.

თბილისში

28 თებერვალს გათენებისას თბილისში კვლავ გახახლდა თოვა. დღის განმავლობაში იყო ცვალებადი ამინდი. თოვა წყდებოდა და შემდეგ კვლავ გრძელდებოდა. ჰაერის ტემპერატურა დილის 8 საათისათვის 4 გრადუს სიცივეს უდრიდა.

მწერალთა დელეგაციის გამგზავრება

დღეს კიევს მიემგზავრება საქართველოს საბჭოთა მწერლების დელეგაცია უკრაინის გენიალური პოეტის ტარას შევჩენკოს დაბადებიდან 125 წლის აღსანიშნავ იუბილეში მონაწილეობის მისაღებად. დელეგაციაში შედიან: ორდენოსანი პოეტი სიმონ ჩიქოვანი, პოეტები—სანდრო ეული და კალე ბობოხიძე და კრიტიკოსი შალვა რადიანი. დელეგაციას თან მიაქვს „კობზარის“ ქართული თარგმანი, რომელიც ამ დღეებში ცალკე წიგნად გამოსცა სახელგამმა.

ახალი წიგნები

გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოსცა ახალი წიგნები: **დენი დიდროს** — „რამოს ძმისწული“, თარგმნილი ფრანგულიდან ჭ. ირემაძის მიერ, **ალ. შანიძის** — „ლექსები“ და **ა. გომიაშვილის** — „მოხეტიალე ლექსები“.

ამ დღეებში გამოვა აგრეთვე **ქ. გამსახურდიას** „თვალთაი“ (წიგნში მოთავსებული იქნება თერთმეტი ნოველა და ერთი რაინდული რომანი „დიდ კონსტანტინეს მარჯვენა“), **ს. ჩიქოვანის** და **ი. მოსაშვილის** ლექსთა კრებულები, **ს. კლდიაშვილის** და **დ. შენგელაიას** მეთხრობათა კრებულები და **შატობრიანის** „უკანასკნელი ბანქაჟი“, თარგმნილი ფრანგულიდან ე. ქავეარაძის მიერ.

რადისტ ვოზნესენსკის გასამართლება

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს კლუბის დარბაზში, რომელიც ხალხით იყო გაჭედილი, სამ დღეს გრძელდებოდა ვოზნესენსკის საქმის გარჩევა. სასამართლოს სხდომაზე დაკითხვისას ვოზნესენსკიმ ნაწილობრივ სცნო თავი დამნაშავედ; იგი ამტკიცებდა, შეგნებული არ მქონდა, რომ ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაული კონტრრევოლუციური ხასიათის იყოო. ამ დანაშაულს იგი მუშაობით მეტის-მეტად დატვირთვით ხსნიდა. ვითომ ამ მიზეზით არ ჰგზავნიდა დანიშნულებისამებრ სამსახურისა და კერძო რადიოგრამებს. დაღლილობითა და მძიმე ფსიქიური მდგომარეობით ხსნიდა ვოზნესენსკი იმ ფაქტებს, რომ ამხ. ლევანევსკის გაფრენის დროს მან ამორთო ტიხაიას ბუხტის რაცია, „მე ფსიქოზმა შემატყრო“, — უჩივლებს ვოზნესენსკი სასამართლოს. როდესაც მან მიიღო ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს ბრძანება სამუშაოდან მისი მოხსნის შესახებ, ვოზნესენსკი „ნაწყენი დარჩა“ და... ბრძანება არავის არ გაუმხილა. ფორმალურად რჩებოდა რა ტიხაიას ბუხტის რადისტად, ის ფაქტიურად საბოტაჟსა და მავნებლობას ეწეოდა.

ბრალდებულისა და მოწმეების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ თუმცა ვოზნესენსკიმ რაცია გამორთო, მაგრამ იგი მაინც ცდილობდა შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს რაღაც მუშაობას ეწეოდა: მექანიკოსს ძლევდა. განკარგულებას ჩაერთო მოტორები, აკეთებდა ყურსაცმელს და სხვ. სასამართლოს და მხარეების მრავალ კითხვაზე ვოზნესენსკი უპასუხებს მოკლედ — „არ ვიცი“.

სასამართლომ და მხარეებმა თვალსაჩინო ყურადღება მიაქციეს ვოზნესენსკის მოქმედებას იმ დროს, როდესაც ამხ. მაზურუკი ტიხაიას ბუხტში იმყოფებოდა. ვოზნესენსკი მას და რუდოლფის კუნძულზე მყოფ მფრინავს ამხ. კოზლოვს ყალბ ცნობებს აწვდიდა ამინდის შესახებ, ამახინჯებდა რადიოგრამებს და ყოველნაირად ხელს უშლიდა მათ შორის რადიოკავშირის დამყარებას. ამის გამო ამხ. მაზურუკი იძულებული გახდა შეჩერებულიყო ტიხაიას ბუხტში, და ამან თავის მხრივ ის გამოიწვია, რომ გზაში შეჩერდა რაზმი მძიმე ხომალდებისა, რომელნიც ლევანევსკის თვითმფრინავის საძებნად გაფრინდნენ.

პროცესზე დაკითხული მოწმეები მეტწილად ტიხაიას ბუხტის და სხვა პოლარული სადგურების მოზარენი არიან. პირველ დღეს დაკითხულ იქნენ საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. კრენკელი, ორდენოსანი მფრინავი ამხ. კოზლოვი, საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. მაზურუკი. მეორე დღეს სასამართლოს წინაშე წარდგნენ დანარჩენი მოწმეები. მათი ჩვენება სავსებით ადასტურებს ბრალდების ყველა პუნქტს.

ზოგიერთი მოწმეები აღნიშნავდნენ ვოზნესენსკის „უცნაურობას“: ის მეტისმეტად თავმოყვარეა, ამპარტავანია, უყვარს ტრაბახი, ვადაკვრა. თვითონ ვოზნესენსკიმ სასამართლოს უამბო, რომ ის სვამდა ყველასთან, ვინც კი შეხვდებოდა.

სასამართლოს სხდომის მეორე დღე დამთავრდა სახელმწიფო ბრალმდებლის ამხ. მურუგოვისა და დამცველის ამხ. კომოდოვის სიტყვებით.

○

27 თებერვალს საღამოს სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ბუხტა ტიხაიას პოლარულ სადგურის რადისტის მ. მ. ვოზნესენსკის ბოროტმოქმედების საქმეზე. ვოზნესენსკის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 20 წლით. (საკდესი).

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა სამხედრო ვაჟკაცური აჯანყება

გათენებისას სოდანლულის სადგურთან თავი მოიყარეს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შეიარაღებული სტუდენტი ახალგაზრდობის „წითლების“ პოლკებმა.

„ლურჯთა“ ერთეულები გამაგრდნენ სანგრის გორაზე. მათი მიზანია შეაჩერონ „წითლების“ წინსვლა სოღანლუღის სადგურიდან სანდარის სადგურისაკენ.

მოწინააღმდეგე განდევნილ უნდა იქნას მაღლობიდან—ასეთია ამოცანა, რომელიც დასახულია „წითლების“ ერთეულთა წინაშე.

21 თებერვალს, დილის 11 საათზე, „წითლების“ მზვერავმა რაზმმა შავნაბადის ყოფილი მონასტრის ნანგრევებზე აღმართა სარდლობის შტაბის დროშა. ხრამებსა და ხეობებში შენიღბეით, პოლკებმა დასაყრდენი პოზიციები დაიკავეს.

დღის 12 საათზე ავარდა კვამლის სასიგნალო შუშხუნა. დაიწყო შეტევა. „არტილერიის“ დაზმარებით, რომელიც ყუმბარებს უშენდა მაღლობს, „წითლების“ დამკვრელ ქვეითა ერთეულს მარჯვენა ფლანგიდან პირველი იერიში მიაქვს მოწინააღმდეგეზე. მარცხენა ფლანგიდან იერიში წარმატებით გაშალა ქვეითა ჯარის მეორე ჯგუფმა: „ლურჯებმა“, რომელთა ყურადღებაც პირისპირ შეტევისაკენ იყო მიპყრობილი, ვერ შეამჩნიეს „მოტომექანიზებული ერთეულების“ წინწაწევა. ამ უკანასკნელებმა, რომელნიც ზურგში მოექცნენ, გადაუჭრეს მათ სამხრეთისაკენ, სანდარის სადგურისაკენ უკან დახვიდის გზა. მოწინააღმდეგის დიდი „უსიამოვნება“ მიაყენა „წითლების“ საჰაერო რაზმმა, რომელიც პარაშუტით თვითმფრინავებიდან წარმატებით დაეშვა.

საათნახევრის შემდეგ „წითლები“ უშუალოდ მიადგნენ იმ მაღლობს ფერდობებს, სადაც „ლურჯები“ დაბანაკდნენ.

ჰაერში გაისმა საბრძოლო შეძახილები:

— წინ, სამშობლოსათვის, ამხანაგ სტალინისათვის!

— ვაშა!

კვამლის ფარდას ამოფარებით „წითლებმა“ იერიში მიიტანეს მაღლობზე. უკან დასახევი გზა გადაჭრილია. მოწინააღმდეგე იძულებულია დანებდეს.

მესიგნალე უკრავს „გასაყარ ნაღარას“ სახელვანი მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXI წლისთავისადმი მიძღვნილი სამხედრო-ტაქტიკური ვარჯიშობა, რომელშიაც მონაწილეობდა უნივერსიტეტის 1.200 სტუდენტი და მეცნიერი თანამშრომელი, დამთავრებულია.

სწორ მწკრივებად, სიმღერით, გაემართნენ პოლკები ფ. მახარაძის სახელობის საბჭოთა მეურნეობისაკენ. აქ „ბრძოლის“ მონაწილენი ისვენებენ, ნაყრდებიან.

სცემენ გაზეთს, ცეკვავენ საბჭოთა მეურნეობის მუშები, სტუდენტები, თბილისის სამხედრო - პოლიტიკური სასწავლებლის კურსანტები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ვარჯიშობის მომზადებასა და ჩატარებაში.

ქალაქში დაბრუნების წინ მიტინგი გაიმართა

— დღევანდელმა ვარჯიშობამ, — თქვა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა ა. მ. კრუპნიკოვმა, — ცხადჰყო სტუდენტი ახალგაზრდობის საუცხოო სამხედრო მომზადება. სტუდენტებმა დიდი ოსტატობით ცხადჰყვეს სხვადასხვა სახის ერთეულთა ორგანიზებული ურთიერთმოქმედება შეტევისას. წითელი არმია ამაყობს თავის რეზერვით, რომელიც მზად არის ყოველ ჟამს განმანადგურებელი ლახვარი ჩასცეს მტერს.

(საქდესი).

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში

ყოველდღიურად ტარდება კონსულტაცია ძარჩხიზმ-ლენინიზმის, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე პროპაგანდისტებისათვის. მომხსენებლებისათვის, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „სკკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შესწავლას.

კონსულტაცია ტარდება დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე. ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტანტთა ტელეფონები: **3—18—46 და 3—61—68.**

პარტკალენდარი

სკკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია აქართველოში წინადადებას აძლევს პავლე მალაქიას-ძე კაპანაძეს გამოცხადდეს აჭ. ყვავაძესთან (ძერჟინსკის, 8) 3 დღის ვადაში.

○

სკკ. კ. პ. (ბ) სამტრედის რაიკომი იუწყება, რომ პარტბილეთი № 2845890, გაცემული მის მიერ 1938 წ. 11 ოქტომბერს დაეთმო გიორგის-ძე გიორგაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1502644, გაცემული იმავე რაიკომის მიერ არმენაკ გრიგოლის-ძე მხატვრისათვის, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1502644, გაცემული იმავე რაიკომის მიერ არმენაკ გრიგოლის-ძე მხატვრისათვის, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქართველოს კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2845536, გაცემული სკკ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მიერ ავთანდილ გარსევანის-ძე ჩაჩავას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

სკკ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომი აცხადებს, რომ 1936 წლის ნომრიშის პარტბილეთი № 1543551, გაცემული ოქრობირის-ძე ახობაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომი აცხადებს, რომ 1936 წლის ნომრიშის პარტბილეთი № 2844486, გაცემული იმავე რაიკომის მიერ გრიგოლ მინას-ძე მღებრელაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომი აცხადებს, რომ 1936 წლის ნომრიშის პარტბილეთი № 1517925, გაცემული იმავე რაიკომის მიერ ნიკოლოზ გიორგის-ძე ცინცაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1539299, გაცემული იმავე რაიკომის მიერ ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე დავითიანის სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 0708672, გაცემული საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მიერ, დაკარგულია და ჩათვალოს გაუქმებულად.

○

საქართველოს კ. პ. (ბ) ცხაიას რაიკომი აცხადებს, რომ 1936 წლის ნომრიშის საკანდიდატო ბარათი № 1671352, გაცემული იმავე რაიკომის მიერ სევასტი ზახარის-ძე ბაბილუას სახელზე, დაკარგულია და ჩათვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

2/III წარმოდგენა 127	3/III წარმოდგენა 128	4/III წარმოდგენა 129
სულელი	თოფიანი კაცი	უღანაშაულოდ დამნაშაულენი

სალარო დიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

1/III	კოლმეურნის ქორწინება
3/III	უბრალო გოგონა
4/III	ურიელ აკოსტა

სალარო დიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 ს-მდე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის ზ. ჭ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი.

1/III	3/III
მუდმ. ადგ. ტალ. № 109	მუდმ. ადგ. ტალ. № 110
დაისი	გრაფიკა

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახსირკი. ტელ. 3-11-44 დღეს
დიდი წარმოდგენა
ფართო მრავალფეროვანი პროგრამა. მონაწილეობენ საცირკო ხელოვნების საუკეთესო ოსტატები.
ტრაპეციონი ალი-ვად (მსახ. ვადიმოვი) და ვერა მირკვა ახალტენტებით.
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.
სალარო დღის 12-დან 2 საათამდე და 5 საათიდან.

ნინო, თამარ, გიორგი, ელენე, ალექსანდრე, შოთა და მერი კიკნაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფას
ქსენია ნაცვლიშვილი-კიკნაძის
უდროოდ გარდაცვალებას.

ნინა და ვადა დეკანოზები მწუხარებით იუწყებიან ახლო მეგობრის
ქსენია ნაცვლიშვილი-კიკნაძის
უდროოდ გარდაცვალებას.

ლ. ეგანოვიძე

კორეის ხალხის ბრძოლა იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ

(20 წელი კორეის აჯანყებიდან)

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გავლენით აზიურთდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში. კორეის ხალხის 1919 წლის მარტის აჯანყება იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ წარმოადგენს ამ მოძრაობის ჯაჭვის ერთერთ მნიშვნელოვან რგოლს.

ათეული წლების მანძილზე იაპონიის, რუსეთის და ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კორეის ხალხი ცდილობდა თავისი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. იაპონიის იმპერიალიზმის მონოპოლიური ბატონობა კორეაში იწყება 1894 წლიდან, როდესაც იაპონიასთან ომში დამარცხებული ჩინეთი კორეიდან გამოძევებულ იქნა. ხოლო რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლის ომის შემდეგ კორეა გადაიქცა იაპონიის იმპერიალიზმის სრულ კოლონიად. ფორმალურად იაპონიის იმპერიალიზმის მიერ კორეის ანექსია მოხდა 1910 წლის 22 აგვისტოს, როდესაც გაჰქრა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის ყოველგვარი ნიშანი და იგი გადაიქცა იმპერიალისტური იაპონიის ერთ უმთავრეს კოლონიურ გუბერნიად, რომელსაც ცეცხლითა და მახვილით განაგებს იაპონიის მთავრობის დანიშნული აგენტი, კორეის გენერალ-გუბერნატორი. კორეა გადაიქცა იაპონიის იმპერიალიზმის აგრარულ დამატებად, საიდანაც იაპონია კოლონიური ძარცვის მეთოდებით იღებს ნედლეულს. კორეა, როგორც კოლონია, იაპონიას აწვდის: ბრინჯს, პირუტყვს, თევზს და სხვადასხვა ლითონებს მრეწველობისათვის. გარდა ამისა, იაპონიის იმპერიალიზმი იყენებს კორეას ნახევარკუნძულს, როგორც სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის პლაცდარმს თავის შემდგომ დაპყრობითს - აგრესიულ პოლიტიკაში.

იაპონიის იმპერიალიზმის ბატონობა კორეაში ხასიათდება ადგილობრივი ხალხის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ჩაგვრის უაღრესად ბარბაროსული, საშუალო - საუკუნოებრივი მეთოდებით. კორეის ხალხი განიცდის აღმაშფოთებელ ნაციონალურ ჩაგვრას შევიწროებას: კორეულ ენა იდევნება, ანადგურებენ ლიტერატურას, რომელიც აშუქებს ხალხის წარსულ ისტორიას, სასამართლო და კანონი განასხვავებს იაპონელებს და კორეელებს, როგორც მაღალ და დაბალ რასას, იაპონელის შრომა ორჯერ და სამჯერ უფრო მეტად ნაზღაურდება, ვიდრე კორეელისა. მშრომელი ხალხი ორმაგ ჩაგვრას განიცდის — კლასობრივსა და ნაციონალურს. 13-14 საათის სამუშაო დღე ძლივს იძლევა შავი პურის საფასურს, უმუშევრობა კორეელი მუშების უმრავლესობის მუდმივი ხვედრია.

უკეთეს მდგომარეობას კორეაში არც გლეხობა განიცდის, რომელიც მოსახლეობის 80 პროცენტს შეადგენს. მთელი საუკეთესო მიწების ფონდი იაპონური სასოფლო-სამეურნეო საქციო საზოგადოებების ხელშია და გლეხობა იძულებულია კაბალური საიჯარო გადასახადი იხადოს ნატურით ან ფულით. სასტიკად იდევნებიან ყოველგვარი მოძრაობა და თავისუფალი აზრი.

ასეთი დუხჭირი პირობების გამო კორეიდან გაიქცა 1,5 მილიონი ადამიანი ჩინეთში, მანჯურიაში, ამერიკაში და სხვ.

მაგრამ ამ აუტანელმა სოციალ-ეკონომიურმა და პოლიტიკურმა რეპრესიებმა ვერ გასტეხა კორეის ხალხი. ის დაჟინებით არ სცნობს თავს იაპონიის ქვეშევრდომად და მედგრად იბრძვის იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

1919 წლის დასაწყისში ანტიიაპონურმა მოძრაობამ კორეაში გრანდიოზული ხასიათი მიიღო. მარტის აჯანყება წარმოადგენს კორეის ხალხის პირველ დიდ, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ხასიათის ბრძოლას იაპონელ მოძალადე დამპყრობელების წინააღმდეგ.

მოძრაობას, რომელიც დაიწყო 1919 წლის 1 მარტს კორეის მთავარ ქალაქ სეულში, პირველ დღეებში მშვიდობიანი დემონსტრაციის ხასიათი ჰქონდა. 1 მარტს სეულში 200.000-ზე მეტი დემონსტრანტი გამოვიდა. სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების 33 წარმომადგენელმა შეადგინა დეკლარაცია და გამოაცხადა კორეის დამოუკიდებლობა. დეკლარაციაში აღნიშნულია: „ამით ჩვენ ვაცხადებთ კორეის დამოუკიდებლობას და კორეის ხალხის თავისუფლებას. ჩვენ ვუცხადებთ ამას მთელ მსოფლიოს, ნიშნად ყველა ერების თანასწორობისა და ვუტოვებთ თავისუფლებას ჩვენს შთამომავლობას, როგორც მის განუსხვისებელ უფლებას.

ჩვენ, ვაცხადებთ დამოუკიდებლობას, გვაქვს რა 5.000 წლის წარსული და გვყავს 22 მილიონი გაერთიანებული ხალხი“.

მოძრაობა ლოზუნგით: „გაუმარჯოს დამოუკიდებლობას!“ გავრცელდა მთელს კორეაში—ქალაქად და სოფლად. მოუელოდნელობის გამო ერთბაშად დაბნეული გენერალ-გუბერნატორი ჟანდარმერიის, პოლიციის და ჯარის საშუალებით შეუდგა დემონსტრაციების დარბევას. უიარაღო ხალხი არ შეუშინდა რეპრესიებს და გაიღო მსხვერპლი, რომელშიაც ბევრი იყვნენ ქალები და ბავშვებიც. მოძრაობის პირველსავე დღეებში მოკლულ იქნა 6.500-ზე მეტი კაცი, დასჭრეს 45 ათასი და დააპატიმრეს 50 ათასზე მეტი.

მშვიდობიანი დემონსტრანტების ხოცვა-ჟლეტამ მოძრაობა ვერ შეაჩერა. პირიქით, მოძრაობა გამწვავდა და ვრდაიზარდა ხალხის შეიარაღებულ აჯანყებად იაპონელი ავაზაკების წინააღმდეგ. ბრძოლა გაგრძელდა 1 მარტიდან 15 აპრილამდე და მასში მონაწილეობა მიიღო 2 მილიონზე მეტმა კაცმა. მარტო 30 მარტიდან 5 აპრილამდე ადგილი ჰქონდა 158 მოძრაობას, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 173 ათასმა ადამიანმა. აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა საზოგადოების ყველა კლასი: მუშათა კლასი, გლეხობა, ბურჟუაზია.

ხალხის ეს მასობრივი აჯანყება, რომელიც მიზნად ისახავდა კორეის დამოუკიდებლობის მოპოვებას, დამარცხდა იაპონელ მტაცებლებთან ბრძოლაში. ხალხის მოძრაობა სისხლში იქნა ჩახშობილი. ჟანდარმერია და პოლიცია შემაძრწუნებელ სიმხეცეს სჩადიოდა. ათასობით ადამიანები გაჟლიტეს და დააპატიმრეს. ვანსაკუთრებული სისასტიკით სჯიდნენ მოძრაობის მეთაურებს და იმათ, ვინც ხელმძღვანელებს არ გასცემდა. დაპატიმრებულებს აწამებდნენ უაღრესად ბარბაროსული და აღმაშფოთებელი ხერხებით: ადამიანებს სხეულს ლურსმნებით უსახიჩრებდნენ, ნაწილ - ნაწილად ჭრიდნენ ამოსჭრიდნენ, ცხვირ-პირში მდუღარეს ასხამდნენ და სხვ.

კორეის ბურჟუაზიამ, რომელიც მოძრაობის დასაწყისში ჰეგემონის როლში გამოვიდა, აჯანყების გაქანებით შეშინებულმა, გასცა მასების მოძრაობა და იაპონიის იმპერიალიზმთან კომპრომისი არჩია. რევოლუციით დამფრთხალი ბურჟუაზია შეუთანხმდა თავისი ქვეყნის დამპყრობელებს „თავისიევ“ ხალხის ინტერეს